

ც ნ ო ბ ა

მიხეილ ჩხენკელი დაიბადა 1958 წლის 1 აპრილს;

1990 წელს წარჩინებით დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტი, სადაც იგი იყო აკადემიკოს მუსხელიშვილის სახელობის სტიპენდიანტი;

1996 წელს დაამთავრა ამერიკის შეერთებულ შტატებში პენსილვანიის უნივერსიტეტის დოქტურანტურა და მიენიჭა მათემატიკის დოქტორის სამეცნიერო ხარისხი;

რამდენიმე წლის განმავლობაში ასწავლიდა ამერიკის შეერთებული შტატების წამყვან უნივერსიტეტებში, მიღებული აქვს მრავალი ჯილდო სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობისათვის, მათ შორის, საპროფესორო ოსკარი საუკეთესო სწავლებისთვის, პენსილვანიის უნივერსიტეტის 9 ჯილდო საუკეთესო სწავლებისთვის, გოლდმან საქსის ფონდის პრემია, სამეცნიერო-კვლევითი გრანტები და სტიპენდიები. არის მრავალი სამეცნიერო სტატიის ავტორი და ამერიკაში გამოცემული წიგნების რეცენზენტი; მათემატიკურ ღონისძიებათა საორგანიზაციო კომიტეტის წევრი (უილიამს კოლეჯი); გოლდვოტერის პრემიის ნომინაციის კომიტეტის წევრი (უილიამს კოლეჯი); კრიტიკული აზროვნებისა და ანალიტიკური უნარების კომიტეტის წევრი (უილიამს კოლეჯი); რაოდენობრივი კვლევების კომიტეტის წევრი (უილიამს კოლეჯი); მათემატიკის დეპარტამენტის კომპიუტინგის კომიტეტის თავმჯდომარე (უილიამს კოლეჯი); აკადემიური სტანდარტების კომიტეტის წევრი (უილიამს კოლეჯი); მათემატიკის დეპარტამენტის ტექნოლოგიის კომიტეტის წევრი (WNEU); კალკულუსის კურიკულუმის კომიტეტის წევრი (WNEU); მასწავლებელთა სამაგისტრო პროგრამის საორგანიზაციო კომიტეტის წევრი (WNEU); მათემატიკისა და

კომპიუტერული მეცნიერების კოლოქვიუმის კომიტეტის წევრი (WNEU);
 ლექტორთა საკონკურსო კომიტეტის წევრი (WNEU); კომპიუტერული
 მეცნიერების საკონკურსო კომიტეტის წევრი (WNEU); მათემატიკის
 საკონკურსო კომიტეტის წევრი (WNEU); კურსდამთავრებულთა
 გამოკითხვის კომიტეტის წევრი (WNEU); პროფესორთა სენატის
 პერსონალის კომიტეტის წევრი (WNEU); ამერიკის სავაჭრო პალატის
 განათლებისა და HR კომიტეტის თანათავმჯდომარე; 2011 წლიდან 2016
 წლამდე – ინფორმატიკისა და ინჟინერიის სკოლის დეკანი (GAU); 2013
 წლიდან 2016 წლამდე – ვიცე-პრეზიდენტი საერთაშორისო საკითხებში
 (GAU); 2013 წლიდან დღემდე – დამფუძნებელთა საბჭოს წევრი (GAU);
 2016 წლიდან დღემდე – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების
 ავტორიზაციის საბჭოს წევრი;

მონაწილეობას იღებდა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში,
 მათ შორის, ამერიკის მათემატიკური საზოგადოებისა და ამერიკის
 მათემატიკური ასოციაციის სამეცნიერო კონფერენციებში. მონაწილეობას
 იღებს ახალი კურიკულუმების შემუშავებაში. მჭიდრო პროფესიული
 კავშირები აქვს ამერიკის მრავალი წამყვანი უნივერსიტეტის
 პროფესორებთან, არის ამერიკის უნივერსიტეტების პროფესორთა
 ასოციაციის წევრი;

2016 წლის ნოემბრიდან 2017 წლის ნოემბრამდე იყო ივანე
 ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
 რექტორის მოადგილე;

2017 წლის 13 ნოემბერს დაინიშნა საქართველოს განათლებისა და
 მეცნიერების მინისტრად.